


საქართველო

საქართველოს
საგარეო
აღმართმშენებელი
სამსახური

საერთო უკრაინული ორგანიზაცია 21 აპრილი 2008 №089 (3313)

ფასი 50 თეთრი

15 და 27 ლევან მჭედლიძის ნუთხია ნაოპირაციები ქართული იტალიურ ფეხბურთს დუბლით დაუბრუნდა



რა გარსუბებით?
ქართულ
ლეგიონერთა
საუჭეო მონაბარი



გურამ დოლიძის ფოტო


პატარა ბორჯღაღლის ფინალი ფინალადა

**ორი მოგება
და, პლიტა ჩვენია**

საქართველოს 20-წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა ჩილეში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის B დივიზიონში მეორე გამარჯვება მოიპოვა — იამაიკის მერე სამხრეთ კორეის ნაკრებს სძლია და ახლა ჯგუფში პირველობისთვის ურუგვაის დამარცხება სჭირდება. მოგონ და, მერე ფინალიც იქნება, რომელშიც ჩვენი ბიჭები სავარაუდოდ მასპინძელ ჩილელებს შეხვდებიან. კორეელებთან კი, 50:31 მოგების მიუხედავად, მწვრთნელები უკმაყოფილონი დარჩნენ, უკეთ თამაშიც შეგვეძლო.




ბურთით
ვახტანგ
კავთიძე



**უფრთხილდით
თბილისს!**
ტიტა კალანდია
ქართულ ხელბურთში
დაბრუნდა

ბრინჯაოს კასი

ვინ არის საქართველოს ნახრების მწვრთნელობის ხანდილაბი და პატარა სპორტის მაგობარი ბრანსო ივანოვიჩი



გოგონებს მოდა, ბიჭებს ფეხბურთი

ბანათლას მინისტრს ახსოვს ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონები, ცოცხლად უნახავს ველე და გარინჩა, მაგრამ...

მოყვარულის დასკვნა:
მსოფლიო ნაპრები არ არის სახე

ინტერვიუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ ვია ნოდისთან

**რუსები აღარ
წაიან, აღარ
კითხულობენ
კლოდ სორელის
მორაგბეები ქულებით
გაგვითანაბრდნენ,
მაგრამ რად
უნდათ**



ლევან მჭედლიძე დუბლით დაბრუნდა

ლევან მჭედლიძე ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა მინდორს და თანაც, როგორც 18 წლის ქართველმა „ემპოლის“ ძირითად გუნდში ითამაშა და „ბალოსეტისთან“ ამხანაგურ მატჩში დუბლი შეასრულა.

ტოსკანელებმა 7:0 მოიგეს, ლევანი მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვალეს, გოლები კი მე-15 და 27-ე წუთებზე შეაგდო. მართალია, ამ მატჩში „ემპოლის“ მთავარ ფორვარდებს, ნიკოლა პოცის და ლუკა

საუდატის არ უთამაშიათ, მაგრამ ლევანის გარჯას ეს არ აკნინებს. იმედი გვქონდა, რომ ემპოლელთა თავკაცი ჯიჯი კანი ქართველს „კალიარისთან“ სერია A-ს გუმინდელ მატჩშიც ათამაშებდა, თუმცა ჩვენთან განაცხადშიც არ ყოფილა.

შეგახსენებთ, რომ მჭედლიძემ თებერვალში მიიღო მძიმე ტრავმა „ემპოლი“ — „ინტერის“ ახალგაზრდული გუნდების შეხვედრისას და აქამდე მკურნალობდა.

ილია ნანოზაშვილი

ვინც არ უნდა იყოს მწვრთნელი... ჯაბა კანკაბა: დნიპროს ჩემპიონობა დამთავრებულია



„დნიპრომ“ უკრაინის ჩემპიონატის პირველი ნრე ლიდერად ჩაათამაშა, თუმცა ნლეულს მიჯრით დაკარგა ქულები და მესამე ადგილს და უშენვდება.

უკრაინელმა ჟურნალისტმა კანკაბას საქართველოს ეროვნულ ნაკრებზეც ჰკითხა. ინტერვიუს შემოკლებით გთავაზობთ...

— „შახტიორთან“ წაგების მერე „დნიპროს“ მწვრთნელმა ოლეგ პროტასოვმა თქვა, ჩემპიონობაზე ფიქრი დამთავრდა. თქვენი აზრი? — ვეთანხმები პროტასოვს, ჩემპიონატის საგაზაფხულო პერიოდში ცუდად გამოვიყურებით. რა თქმა უნდა, სეზონის ბოლომდე ვიბრძობებით, მაგრამ ლიდერობაზე პრეტენზია ზედმეტია.

— უკრაინის თასის ფინალისტები გამოვლინდნენ, რის შემდეგაც გაირკვა, რომ ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გასული გუნდი უეფას თასზე გავა. ამან თქვენზე დამამშვიდებლად იმოქმედა? — რა თქმა უნდა, თუმცა ჩვენ მესამეზეც შეგვიძლია გასვლა. რაც უნდა იყოს, დანარჩენი მატჩები მაღალ დონეზე უნდა ჩავატაროთ, რათა გულშემატკივრებსაც და საკუთარ თავსაც დავუმტკიცოთ, რომ „დნიპრო“ კარგი გუნდია.

— საქართველოს ნაკრები უმწვრთნელოდაა დარჩენილი. თქვენ იცით, ვინ იქნება კლაუს ტოპმოლერის შემცვლელი? — ჯერ არ გადაწყვეტილა. რამდენიმე ცნობილ პიროვნებაზე ლაპარაკი, მათ შორის თემურ ქეცბაიასა და შოთა არველაძეზე. ამბობენ, 10 მაისამდე მწვრთნელი დანიშნული იქნება. ჰო, სხვათა შორის, ლუის ვან გალის ჩამოყვანაზეც ითქვა. ისე, ვინც არ უნდა იყოს, ნაკრების თავკაცი, მე ყოველთვის სიამოვნებით ვითამაშებ იქ.

რა გარსუბები?! დვალისევილი სსპ-ის ნაცვლად გაიტანა

ქართველ ლეგიონერებს გოლები კი გააქვთ, მაგრამ თავის გამოჩენას უფრო საშუალო და დაბალი დონის ჩემპიონატებში ახერხებენ...

მივყვეთ თანმიმდევრობით... ინგლისურ პრემიერლიგაში „ბლექბერნი“ შინ 1:1 ეთამაშა „მანჩესტერ იუნაიტედს“, თუმცა ზურაბ ხიზანიშვილის გარეშე — ქართველი ფეხბურთელი განაცხადშიც არ ყოფილა.

ელთა მსხვერპლი ამჯერად პერმის „ამკარი“ აღმოჩნდა — 1:0.

ლაშა სალუქვაძემ და დავით კვიციანი მოსკოვის „სპარტაკს“, მაგრამ მაინც დამარცხდა (1:2). ის კი არა, ნაღიკელები ერთხანს იგებდნენ, მაგრამ...

კიევის „არსენალის“ და დნიპროპეტროვსკის „დნიპროს“ მატჩში მოულოდნელად „მეთოფეებმა“ (2:1) იმარჯვეს.

კიეველებს გიორგი დემეტრაძის დახმარება არ დასჭირვებიათ, დნიპროელებს კი — ჯაბა კანკაბასი და სანდრო კობახიძის.

ლაშა ჯაკობიას „ვორსკლამ“ შინ 2:1 მოუგო „კრივბასს“, ხოლო კახა ალადაშვილის „ხარკოვმა“ — სტუმრად 3:0 „ზაკარპატის“.

ორივე ქართველს ტრავმა აწუხებს.

კახა კალაძემ და „მილანმა“ შინ აუტსაიდერი „რეჯინა“ არ დაინდეს — 5:1 და „შავ-წითლები“ ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრის შანსს ინარჩუნებენ.

კალაძემ 90 წუთი იბურთავა. ავსტრიულმა „შტურმმა“ სტუმრად „ლინცერის“ შტურმს გაუძლია და იმის მიუხედავად, რომ აგებდა, 2:1 იმარჯვა. გიორგი შაშიაშვილმა 90 წუთი ითამაშა.

შვეიცარიაში, როგორც ყოველთვის, „თუნმა“ წააგო, ამჯერად „გრასჰოპერთან“ 0:2. „კალიების“ წინააღმდეგ სანდრო იაშვილს არ უთამაშია — სათადარიგოთა სკამზე დარჩა.

სამივე ქართველი — ალექსანდრე ამისულაშვილი, გოგიტა გოგუა და დავით სირაძე — ძირითადად იყო და სრულად ითამაშა.

სამატჩო განაცხადში იყვნენ, თუმცა არ უთამაშიათ მალხაზ ასათიანსა და დავით მუჯირს. მათი „ლოკომოტივი“ უგოლოდ დაუხავდა ცეცხლს.

რუსეთის პირველ დივიზიონში ისე იმარჯვა მახაჩყალის „ანჟი“ (2:0), ამჯერად „კამაზთან“. ისე მოხდა, რომ ქართველებს გოლი არ გაუტანიათ, სამაგიეროდ, გოჩა ხოჯავამ ორი საგოლე პასი მიითვალა.

ლატვიის ჩემპიონატში პირველი გოლები, თანაც ჰეთ თრიქი მიითვალა ვლადიმერ დვალისევილმა. „სკონტომ“ 3:1 მოუგო „დაუგავს“. სკონტოელთა შემადგენლობაში დავით გამეზარდაშვილი სათადარიგო დარჩა, ზაალ ელიავა კი განაცხადშიც არ ყოფილა.

ყაზახეთის ჩემპიონატშიც გავიდა ამ სეზონში პირველი ქართული გოლი, რომელიც ყარაგანდის „შახტიორის“ ნახევარმცველ ლაშა ნოზაძეს ეკუთვნის. ყარაგანდელებმა შინ 1:0 მოუგეს „ჟენტისუს“.

ორი ქართული გოლი გავიდა აზერბაიჯანში: ბორის გონჩაროვმა „ოლიმპიკს“ გაუტანა (მისი „მასალი“ 1:2 დამარცხდა), ხოლო რომან ახალკაცმა „ბაკის“ და „კარვანი“ ძლიერ მეტოქეს 3:3 დაუხავედა.

შვიდეულიდან მხოლოდ ბარაბაძე-ჯიქიას არ უთამაშიათ.

„ანჟი“ მეორე ადგილზე და პრემიერლიგაზე აცხადებს პრეტენზიას. უკრაინის ჩემპიონატში ქართველები მომრავლდნენ. ახალი მწვრთნელის ხელში ძირითადად დაუბრუნდა ლუგანსკის „ზარისას“ ნახევარმცველი ვლადიმერ ბურდული.

საინტერესოა, რომ ბურდული გიორგი ციმაკურიძემ შეცვალა, რომელსაც თამაში კი არა, სათადარიგოთა სკამიც სანატრელი ჰქონდა.

შეცვლამდე ბურდულმა საგოლე პასი გააკეთა და „ზარისამ“ დონეცკის „მეტალურგს“ (1:1) ანგარიში გაუთანაბრა.

„ანჟი“ მეორე ადგილზე და პრემიერლიგაზე აცხადებს პრეტენზიას. უკრაინის ჩემპიონატში ქართველები მომრავლდნენ. ახალი მწვრთნელის ხელში ძირითადად დაუბრუნდა ლუგანსკის „ზარისას“ ნახევარმცველი ვლადიმერ ბურდული.

საინტერესოა, რომ ბურდული გიორგი ციმაკურიძემ შეცვალა, რომელსაც თამაში კი არა, სათადარიგოთა სკამიც სანატრელი ჰქონდა.

შეცვლამდე ბურდულმა საგოლე პასი გააკეთა და „ზარისამ“ დონეცკის „მეტალურგს“ (1:1) ანგარიში გაუთანაბრა.

კახა ცხადაძის „სტანდარდმა“ შინ 0:1 წააგო „ხაზართან“, თუმცა ქართველი მწვრთნელი გუნდის თამაშით მაინც კმაყოფილი დარჩა...

„სიმურგი“ — „ნეფთისის“ მატჩში კი ქართველებმა თავი სხვანაირად გამოიჩინეს — დავით ბოლქვაძემ და გიორგი ადამიამ ერთმანეთზე გაიწიეს...

მიხეილ შორჟოლიანი



დისკვალიფიკაციამოხილი კახა კალაძე „მილანს“ დაუბრუნდა



ბრინჯაოს კაცი ვინ არის პეტარ სებრტის მეგობარი ბრანკო ივანკოვიჩი

ლუის ვან გაალი, ფერარული, შენოლ გიუნეში, დანიელ პასარელა, ჟაკ სანტინი... კიდევ უამრავი მწვრთნელის გვარ-სახელი ითქვა საქართველოს ნაკრების მთავარ-მწვრთნელობის კანდიდატებად, თუმცა ფაქტი ისაა, რომ ჯერჯერობით ფაქტობრივად ბრანკო ივანკოვიჩია. ხორვატი სპეციალისტი უკვე შეხვდა სფფ-ის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს და, შესაძლოა, მალე თბილისშიც ჩამოვიდეს მოლაპარაკების გასაგრძელებლად.

ვერ ვიტყვით, რომ ივანკოვიჩთან შედარებით სხვების შანსები მნიშვნელოვნად მცირეა, თუმცა ისიცაა, რომ ფედერაციამ მოქმედება სწორედ მისით დაიწყო და ეს გარკვეულ უპირატესობას უნდა ნიშნავდეს, მით უმეტეს, როგორც შევიტყვეთ, ივანკოვიჩს საქართველოში დასაქმების საწინააღმდეგო არაფერი აქვს — პირიქით, ამ წინადადებას ძალიან დაინტერესებს.

ივანკოვიჩზე სფფ პეტარ სებრტის დახმარებით გავიდა — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების უღვაშა თავკაცი ივანკოვიჩის კარგი ნაცნობი აღმოჩნდა და საქმეც დაიძრა... მოდით, ვნახოთ, ვინ არის ეს კაცი და რა გაუკეთებია ჯერ როგორც ფეხბურთელს და მერე როგორც მწვრთნელს...

ბრანკო ივანკოვიჩი 1954 წლის 28 თებერვალს დაიბადა ხორვატიის ქალაქ ჩაკოვეცში.

12 წელი თამაშობდა ხორვატულ კლუბ „ვარტეკსში“ (263 მატჩი, 31 გოლი). იყო ნახევარმცველი, თუმცა ხშირად დაცვაშიც აყენებდნენ...

ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობა დაიწყო და 1991 წელს მშობლიურ „ვარტეკსს“ ჩაუდგა სათავეში.

1995-96 წლების სეზონი „სეგესტაში“ გაატარა, მომდევნო ჩემპიონატში კი „რიეკას“ თავკაცობდა.

1997-99 წლებში ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, მიროსლავ ბლაჟევიჩის თანაშემწედ დაინიშნა და მუნდიალ 98-ზე ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

1999 წელს ივანკოვიჩისთვის ახალი ერა დაიწყო — იგი პირველად გახდა უცხოური გუნდის მთავარი მწვრთნელი — გერმანიის მეორეხარისხიანი „ჰანოვერთან“ გააფორმა კონტრაქტი.

მომდევნო სეზონში, ცოტა ხნით, ისევ ხორვატიის ნაკრებში დაბრუნდა მიროსლავ ბლაჟევიჩის თანაშემწედ, 2001 წელს კი ირანის ფეხბურთის ფედერაციას შეუთანხმდა და ამ ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი გახდა. სპარსთა ეროვნული გუნდის თავკაცი კი ბლაჟევიჩი იყო, რომლის სურვილითაც ჩავიდა ივანკოვიჩი ირანში.

ბლაჟევიჩის ასისტენტობასთან ერთად ივანკოვიჩი ირანის 23-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელადც დაინიშნა, 2002 წლის 19 იანვარს კი ირანის ნაკრები ჩააბარეს და გარდა იმისა, რომ 2004 წლის აზიის თასზე ბრინჯაო ააღებინა, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაუძღვა გუნდს.

ირანელმა ჟურნალისტებმა ივანკოვიჩი რისკიანი ტაქტიკის სიყვარულის გამო კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს და ისიც მალე იძულებული გახდა, გადადგომის თაობაზე განცხადება დაეწერა.

2006 წლის 6 ნოემბერს ბრანკო ივანკოვიჩი ზაგრების „დინამოში“ მიიწვიდა და წინა სეზონში დუბლი მოაპოვებინა (ჩემპიონობა და თასი), თუმცა ამა წლის დასაწყისში კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ზდრავკო მაშიჩთან კონფლიქტის გამო „დინამო“ დატოვა.


მას შემდეგ ივანკოვიჩი უმუშევარი...

ბასა ზალაგბერიძე

ფეხბურთი სიჯანსაღია

გია ნოდია: ჩემს ბავშვობაში გოგონები მოღაზი ლაპარაკობდნენ, ბიჭები ფეხბურთზე

21 აპრილს სკოლბურთის „პეპსის თასი“ იწყება, რომელიც საქართველოში უკვე ორჯერ ჩატარდა, თუმცა შარშან შარშანინდელთან შედარებით, ტურნირის გეოგრაფია მნიშვნელოვნად გაიზარდა. საქართველოს განათლების მინისტრ გია ნოდიათან საუბარი, პირველ რიგში, სკოლბურთთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ — ამ ტურნირში ხომ ქვეყანაში არსებული სკოლების აბსოლუტური უმრავლესობაა ჩართული. ბატონი გია ფეხბურთის ფანატიკური გულშემატკივარი ან გახლავთ, მაგრამ ეს ახლა. ახალგაზრდობის წლებში კი, მართალია, ფეხბურთზე არ უვლია, მაგრამ თბილისის „დინამოს“ თამაშებს ხშირად ვესწრებოდიო, გვითხრა. განათლების მინისტრთან ქართული ფეხბურთის დღევანდელ ყოფაზეც ვილაპარაკეთ და პელე-გარინჩაც ვახსენეთ, თუმცა ჯერ სკოლბურთით დავიწყეთ...



— თქვენ აქტიურად იყავით ჩართული სკოლბურთის პოპულარიზაციაში თუ დიდი ძალისხმევა არ დაგჭირვებია?

— არა. ჩვენ რეკომენდაცია გავუწიეთ სკოლებს, დაძალებით კი ვერავის დაძალებ და არც ყოფილა ამის საჭიროება. წლეულს 1460 სკოლის გუნდი მიიღეს მონაწილეობას ტურნირში, ანუ სულ 14 600 ბავშვი. მივიჩნევთ, რომ ასეთი ღონისძიებები ჯანსაღი თაობის აღზრდას შეუწყობს ხელს, მით უმეტეს, როცა ლაპარაკია გუნდურ სახეობაზე — გუნდური თამაში ხომ უფრო სანახაობრივი და დინამიკურია...

...განათლების სამინისტრო ყოველთვის მიესალმება, თუ სკოლებში ფეხბურთს უფრო ხშირად ითამაშებენ ბავშვები, მაგრამ ესეც ინდივიდუალური საკითხია — არსებობს სასკოლო გეგმა, ჩვენ ვერც ერთ სკოლას ვერ დავავალდებულებთ, საფეხბურთო გაკვეთილები ჩაატარონ. ერთი კია, წახალისებებს ვაკეთებთ, 1100 ლარის საფეხბურთო ინვენტარი დავარიგეთ სკოლებში — ხარისხიანი ბურთები, კარის ბადეები...

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველწლიურად იზრდება „პეპსის თასზე“ გუნდების რაოდენობა, უნდა ვივარაუდოთ, რომ გაიზარდა უფრო მეტი სკოლის ჩართვას უნდა ველოდით...

— ალბათ. სამწუხაროდ, ზოგიერთ სკოლაში სულ 3-5 მოსწავლე ბიჭია და ბუნებრივია, ეს სკოლები ვერ გავლენ ტურნირზე. სადაც კადრები საკმარისია, წლეულს თითქმის ყველა სკოლა იღებს მონაწილეობას ტურნირში. სულ 2400 სკოლაა საქართველოში და 1460 ჩარჩულია ღონისძიებაში.

— ფეხბურთის გულშემატკივარი ხართ?

— მაინცდამაინც არა. ახალგაზრდობაში უფრო მიყვარდა ფეხბურთი, რაც ასაკში შევედი, ნელ-ნელა გამიქრა ინტერესი. ხანდახან ვუყურებ ხოლმე ტელევიზორში. უფრო მაშინ, თუ ქართული გუნდები ან საქართველოს ნაკრები თამაშობს, ასევე ხანდახან მსო-

ფლიოს თუ ევროპის ჩემპიონატების მატჩებს. 1966 წელს ინგლისში გამართული მუნდიალი მახსოვს.

— თქვენ თაობის აღამიანების უმეტესობას ბრაზილიური ფეხბურთი მოსწონს. თქვენ თუ გყავთ რჩეული ნაკრები?

— ბრაზილიის ნაკრების ქომაგი არასოდეს ვყოფილვარ, მიუხედავად იმისა, რომ პელესა და გარინჩას თამაში მინახავს მოსკოვში... ახლა აღარ მახსენდება იმ თამაშის დეტალები. უფრო ჩრდილოელების ფეხბურთი მომწონს — ინგლისის, პოლანდიის...

— სტადიონზე დიდი ხანია, არ ყოფილხართ?

— იშვიათად დავდივარ.

— ქართული ფეხბურთის ამბებში თუ ხართ ჩახედული?

— მოყვარულის დონეზე. ეტყობა, რაღაცაში ფეხი ვერ ავუწყვეთ მსოფლიოში ფეხბურთის განვითარებას. მარტო ეროვნული ნაკრები არ არის ქვეყნის ფეხბურთის სახე, საამისოდ ძლიერი კლუბებია საჭირო. ეროვნული ჩემპიონატის დონე თუ არ ამაღლდა, ძნელია, ძლიერი ნაკრების შექმნა.

— რომელიმე ფეხბურთელთან თუ მეგობრობთ?

— არა.

— დღეს საქართველოში ბავშვები ეზოში უფრო იშვიათად თამაშობენ ფეხბურთს, ვიდრე ადრეულ წლებში...

— ასეა. ეს აშკარად იგრძნობა...

— და რა ამის ამის მიზეზი? დღეს უფრო ბევრი გასართობია და იმიტომ?

— დიახ. ჩემი ბავშვობის და ახალგაზრდობის წლებში ფეხბურთი მთავარი გასართობი იყო. სასაუბრო თემაც სხვა არ არსებობდა. გოგონები მოღაზი ლაპარაკობდნენ, ბიჭები კი ფეხბურთზე... მაშინ მეც აქტიურად ვერთვებოდი საფეხბურთო კამათში, ვთამაშობდი კიდევ, ოღონდ ეზოში, მწვრთნელთან არ მივლია...

ილია ნანოგაფილი



მადლობა ბათუმს



ლალო ნადირაშვილმა ვიორჯი ჭელიძეს არ გაატანინა

თბილისი. 19 აპრილი. 16 საათი. აზრი. 400 მყურებელი



აპრი 4:1 ბათუმი



1:0 გოცირიძე (7), 1:1 ცანავა (24), 2:1 კაკაშვილი (30), 3:1 გოცირიძე (35), 4:1 ტატანაშვილი (75)

ბმრმ: ლ. ნადირაშვილი, მემარნიშვილი, კაკაშვილი, ჩიკვილიძე, ელბაძეძე, დობროვოლსკი, დიდავა, დოლიძე (შალამბერიძე 67), დეკანოსიძე, დავითაშვილი (მესხი 69), რ. გოცირიძე (ტატანაშვილი 72) სათადარიგო: ქვანახია, სილაგავა, ა. ალაფიძე, ჩიმაკაძე მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

ბათუმში: სტურუა, ვ. კუნჭულია, კ. მახარაძე, თედორაძე, მაკარიანი, გაგა ჩხეტიანი (ზ. ქუთათელაძე 46), ცანავა (გალოგრა 58), ქებაძე, ოქრუაშვილი, ბაბუნაშვილი, გ. ნოდ. ჭელიძე სათადარიგო: თოთლაძე, ბუენიძე, ა. ბაგდელიძე მწვრთნელი: ავთანდილ კუნჭულია

მწვრთნელი: მაკარიანი (30), დეკანოსიძე (49)

მსაჯები: გ. კიკაჩიშვილი, კ. გაბრიძე, ი. მაჩიტაძე, ვ. ელისაბედაშვილი

დამკვირვებელი: თ. ლაცაბიძე

„აპერის“ სწრაფ იერიშებს სწრაფივე გოლი მოჰყვა. დენის დობროვოლსკიმ დოლიძეს მისცა პასი, მის ჩაწოდებულს კი შორ ძელთან რევაზ გოცირიძე დახვდა და ორიოდ მეტრიდან გაიტანა. გოლაძე ერთი წუთით ადრე კი იყო ეპიზოდი, როცა დოლიძის დარტყმული მაკარიანს ხელზე მოხვდა, მაგრამ ბურთი კარში არ მიდიოდა და მსაჯმა უნებლიედ ხელით თამაში საპენალტედ არ შეაფასა.

გოლის მერე კი „აპერი“ დამშვიდდა და საწყისი წუთების ტემპიც დაეცა. ამან „ბათუმს“ მეტოქის ნახევარზე გადასვლის საშუალება მისცა, თუმც ნაღდ მომენტამდე საქმე არ მისულა. ხოლო ის ერთი საპასუხო გოლი ბათუმელებმა სტანდარტული სიტუაციიდან გაიტანეს. ირაკლი ცანავამ ჯარიმა საკმაოდ მახვილი კუთხიდან, ახლო ძელისკენ დაარტყა. თენგიზ ჩიკვილიძემ დაბალი ბურთის თავით მოგერიება სცადა, არ გამოუვიდა, ლალო ნადირაშვილის რეაქცია კი დაგვიანებული აღმოჩნდა.

ისე, კარგი იყო, „ბათუმმა“ რომ გაათანაბრა, რაკი აპერელები ამან ისევ გამოაფხიზლა და თამაში ისევ საინტერესო საყურებელი გახდა. გაათანაბრებიდან 6 წუთში „აპერმა“ პენალტით მეორე გაიტანა. ვიორჯი დეკანოსიძემ სულიკო დავითაშვილს ჩააწოდა. ამ ბურთის მიღების უკეთესი შანსი აპერელის მეურვე მცველს ჰქონდა, მაგრამ შეცდა და გამოსწორების მცდე-

ობა მეორე შეცდომად დაუჯდა — მეკარესთან პირისპირ დარჩენილი თავდამსხმელი წააქცია. პენალტის შესრულება კი ვლადიმერ კაკაშვილმა ითავა, რაკი მათ, ვინც „აპერში“ ჩვეულებრივ არტყამენ ხოლმე, ბოლო დროს პენალტები წაუხდათ.

კაკაშვილის დარტყმა ძლიერიც იყო და ზუსტიც — 2:1.

ამის მერე იყო, ზემოთ რომ ვთქვით, „აპერმა“ მარცხენა ფლანგიდან პირველად 33-ე წუთზე შეუტიაო: დეკანოსიძე-ელბაძე-დავითაშვილის კომბინაცია ზვიად სტურუას ნახტომში მოგერიებული დარტყმით დამთავრდა.

კიდევ ორი წუთი და, გოცირიძემ უმეკარეო კარში იოლად გაიტანა. გივი დიდავამ „აპერზე“ სტურუას შეატოვა, დავითაშვილმა მეკარე ჩამოიშორა, ბოლო დარტყმის უფლება კი გოცირიძეს გადააბარა.

საქმე მოთავსებული იყო, რაც აპერელებმა იგრძნეს და ბათუმელებმა, თუმცა მეორე ტაიმშიც იყო რამდენიმე დასამახსოვრებელი ეპიზოდი: ერთ კართან დოლიძისა და შალამბერიძის, მეორესთან კი — გამოცდილმა შოთა ბაბუნაშვილმა ჩაუქროლა რამდენიმე აპერელს, მაგრამ დარტყმა აღარ გამოუვიდა.

და ამ მატჩის ბოლო გოლიც: ლალო ნადირაშვილმა ბურთი ხელით დაუგორა კობა შალამბერიძეს, ვინც ნახევარი მოედანი გადაიბრინა და დიმიტრი ტატანაშვილი პირისპირ დატოვა მეკარესთან — 4:1.

კომტა კაქელია

საქართველოს დასრულებამდე ოთხი ტურიღა დარჩა, ბათუმელებს კი სამშვიდობომდე ხუთი ქულა აშორებს. ანუ ძალიან დიდი შანსია, ქართულ ფეხბურთს ერთადერთი გუნდი შემორჩეს, ეროვნული ჩემპიონატის დაარსებიდან დღემდე უმაღლეს ლიგაში რომ თამაშობს. ის ერთი თბილისის „დინამო“ და ჯერჯერობით ბათუმელებიც უკლებლივ ყველა სეზონში უმაღლესის ბინადრები არიან... „ბათუმი“ გლდანს 16 ფეხბურთ-

ელით ეწვია, ხოლო მასპინძლებს ვიორჯი დავითაშვილის არყოფნაში ვიორჯი დეკანოსიძემ უკაპიტნა. აქვე ვთქვათ, რომ „აპერს“ მესამე ადგილზე გასვლის თეორიული შანსი ამ მატჩამდეც დაკარგული ჰქონდა. თამაში ისეთ ტემპში დაიწყო, ჩემპიონატის ყველა მატჩი ასეთი ტემპიანი რომ იყოს, ჩვენს ბედს ძალიან არ დაჰყვება... საწყის წუთებში სხვა რამეც გამოიკვეთა. კერძოდ ის, რომ სტუმართა განაპირა მცველი კარენ მაკარიანი აპერელთა მარჯვენაფლა-

ნგელი გრიგოლ დოლიძის შემჩრებილი არ იყო და თანაგუნდელებთან დოლიძისთვის მიცემული ყოველი პასი, ფაქტობრივად, საგოლე ეპიზოდის წამოწყებას ნიშნავდა. ალბათ ამის გამოც იყო, რომ მარცხენა ფლანგიდან პირველი იერიში „აპერმა“ მხოლოდ 33-ე წუთზე განახორციელა და საერთოდაც, ძალიან იშვიათად იყენებდა მარცხენა ფლანგს. ხოლო ბათუმელებმა მთელი 90 წუთი ვერც დოლიძეს და ვერც მის შემცველ კობა შალამბერიძეს ვერაფერი მოუხერხეს.

საქართველოს პირველი ლიგა 19 ჩემპიონატი 23 ტური

Table with 2 columns: Team Name and Statistics (W, D, L, Goals, Points). Includes teams like მეშაქრე, დინამო 2, გავრა, ვიტ ჯორჯია 2, რიხურა, ოლიმპი 2, ყახეთი, აპერი 2, ოლიმპიკი, ნ.დინ-მერანი 2.

Table with 2 columns: Team Name and Statistics (W, D, L, Goals, Points). Includes teams like მათაროელი, მეშახტე, ზესტაფონი 2, მერანი (მ), ხობი, ტორპედო, კოლხეთი, სამტრედია, უნივერსიტეტი, ფაზისი.

ფედერაციამ ვებპროგრამები დააზღვია

ვებპროგრამები ფეხბურთელთა დახმარების ფონდში მორიგი საექსპლუატაციო აქცია განახორციელა და კომპანია „ალდაგი-BCI“-ში ვებპროგრამები ფეხბურთელები დააზღვია. ეს აქცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით ჩატარდა. ვებპროგრამები ფეხბურთელებს სადაზღვევო პაკეტის გარდა, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების საშინაო მატჩებზე დასასწრები აბონემენტები გადაეცათ. ამ აბონემენტებით ვებპროგრამებს შეეძლებათ, ნაკრების, საქართველოს ჩემპიონატისა და თასის მატჩებსაც დაესწრონ. დაჯილდოების ცერემონიალს ვებპროგრამები ფეხბურთელთა დახმარების ფონდის ხელმძღვანელი ვაჟა ფვა-



ნია და სფფ-ის ხელმძღვანელები უძღვებოდნენ. „ეს შესანიშნავი მოვლენაა! — განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალაკაძე — ფედერაცია არასდროს აკლებდა ყურადღებას იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენი ფეხბურთის ისტორიას ქმ-

ნიდნენ და ამის დადასტურებაა ეს დღეც: წარსულზე ზრუნვა ჩვენი მოვალეობაა. ფედერაციამ აქამდეც არაერთი პროექტი განახორციელა და ვებპროგრამების ოჯახებს მუდმივად ვებმარებოდით. მოხარული ვარ, რომ ვებპროგრამები ფეხბურთელების დახმარების ფონდი აქტიურ მუშაობას აგრძელებს“. კმაყოფილი დარჩნენ თავად ვებპროგრამებიც... „ფედერაციამ შესანიშნავი საჩუქარი გაგვიკეთა და მადლობის მეტი რა გვეთქმის. ასეთი ნაბიჯები მისასალმებელია. კარგია, რომ ვებპროგრამებს ნაკრებისა და ჩემპიონატის თამაშებზე უფასოდ დასწრების საშუალება მოგვცა. ამ აბონემენტით ყოველთვის ვისარგებლებ“ — თქვა მურთაზ ხურცილავამ. მიხეილ შორაშოლიანი

ზუზადი. 19 აპრილი. 16 საათი. მ. თუთუბარიძე. 1 700 მაყურებელი

მგლები 0:2 ოლიმპი

0:1 მგელაძე (69), 0:2 დევიდარიანი (73)

მგლები: ივარდავა, ზ. ექონია, მატეარაძე, სუხია, კაკაბაძე, დ. ქირია (ქომეთიანი 78), ვართაგავა, კრასოვსკი, სოხონიშვილი, ზ. ჯანაშია (გ. ექონია 78), კუტალია (ჭვადუა 64), სათადარიგო: ქალაძე, კუჭუხიძე, ჯიშკარიანი, გ. ქირია

ოლიმპი: გ. ლომია, მგელაძე, ომელიანოვი (მეტრეველი 89), სილაგაძე, გენაძე, მახვილაძე, სუბუა (გაბედავა 65), სეზისკვერადი, დ. დევიდარიანი, ორბელიაძე, ჯოჯუა, სათადარიგო: შვერილაძე, რეხვიაშვილი

ბაზრთხილვა: კაკაბაძე (17), ვართაგავა (56), სოხონიშვილი (75), ჯოჯუა (74), გ. ექონია (84)

მსაჯეები: გ. დოგრაშვილი, კ. ბერაძე, ი. კაკაბაძე, ჯ. ბუიშვილი

დამკვირვებელი: მ. მალაფერძე, დირექტორი: გ. საყვარელიძე



რატი ალექსიძე (მარჯვნივ) ერთერთი გამორჩეული იყო

თამაში ბოტანიკურ ბაღში მგლებმა ბორკილები დაიჩივლა

სოსო ბულუა ზუგდიდიდან

შეხვედრა საკმაოდ მაღალ ტემპში, ორმხრივი იერიშებით დაიწყო. ორივე გუნდი მონდომებით იბრძოდა, მცირე უპირატესობა კი მაინც მასპინძლების მხარეზე იყო. ისინი უფრო ხშირად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე და სახიფათო სიტუაციებიც „ოლიმპის“ საჯარიმოსთან უფრო ხშირი იყო.

ჯერ იყო და, კუტალიას კარგი ჩაწოდება ვერ გამოიყენა სოხონიშვილმა, მერე ქირიამ დაარტყა ოდნავ არახუსტად.

ამის მერე რუსთაველები გააქტიურდნენ და დავით დევიდარიანი გაიყვანეს დასარტყმელ პოზიციაზე. მან იმდენად ძლიერად დაარტყა, რომ ბურთი კარსაც გადასცდა, სტადიონის ლოპესაც და ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე დაეშვა...

22-ე წუთზე ლერი სოხონიშვილის დარტყმა „ოლიმპის“ მცველმა კუთხურზე მოიგერია; 29-ე წუთზე ზამირ ჯანაშიას დარტყმა აიღო მეკარემ, ვლადიმერ ჯოჯუას გასროლილს კი მანუჩარ ივარდავა გაუმკლავდა.

ცოტაც და, ზურაბ ექონია გაიჭრა რუსთაველთა მარჯვენა ფლანგზე და კარგად ჩააწოდა მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ კუტალიას ლომიამ პირდაპირ თავიდან მოუხსნა ბურთი.

38-ე წუთზე დევიდარიანმა გამჭოლი გადაცემა გაუკეთა სეზისკვერამეს, მან კი მარტოდ დარჩენილი ორბელიაძე ვერ შენიშნა და თავად დაარტყა — მცველებმა ადვილად მოიგერიეს ბურთი და გრძელი პასით ჯანაშია გაიყვანეს კარგ პოზიციაზე, მაგრამ ზამირმა უხეიროდ დაარტყა და ბურთი დიდი მანძილით ასცდა რუსთაველთა კარს.

ასე, უგოლო ფრით გავიდნენ გუნდები შესვენებაზე. მთავარი ამბები კი მეორე ნახევარში განვითარდა. ზუგდიდელები ისევ დიდი ძალეებით უტევენ და ცდილობდნენ მეტოქის კარის დალაშქვრას. ექონიას კარგი პასი კრასოვსკიმ ვერ გამოიყენა. შემდეგ ისევ კრასოვსკის დარტყმა მოიგერია ლომიამ, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, ერთი უტევეს, მეორეს გააქვს და... 69-ე წუთზე სტუმრებმა კუთხური ჩაა-



გიორგი ქოსროშვილის გუნდმა ზედხედ მეორე მატჩი მოიგო

წოდეს. ლევან სილაგაძემ თავით დაუკორა ბურთი კარგ პოზიციაში მყოფ მგელაძეს და მანაც თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა. „მგლებმა“ მდგომარეობის გამო სწორება სცადა და მთელი გუნდით შეუტია, მაგრამ ხუთ წუთში სტუმართა კონტრშეტევა გამოეპარა და მეორე ბურთიც მიიღო საკუთარ კარში — დამავიკრევიანებულ დარტყმა დევიდარიანისა იყო — 0:2.

ამის შემდეგ აღარაფერი შეცვლილა...

პრემიერლიგის

მალხაზ ლაცაბიძე, „ოლიმპის“ მეორე მწვრთნელი: თამაშით კმაყოფილი ვარ, ბიჭებმა დავალება პირნათლად შეასრულეს, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

ბესიკ შეროზია: დასანანი მარცხია. თამაშიდან გამომდინარე, გუნდი ამას არ იმსახურებდა. უიღბლობასთან ერთად, ამდენი გაფრთხილებით მსაჯმაც ბორკილები დაადო ფეხბურთელებს ფეხებზე. ამის შედეგი კი სახეზეა...

Table with 4 columns: Team, Goals, Assists, Cards. Lists teams like Dinamo, Vitoria, etc.

ასილეგულნი ლოკომოტივს ფარულაგა გადაეფარა

თბილისი. 19 აპრილი. 16 საათი. მ. მისნი. 150 მაყურებელი

ლოკომოტივი 1:0 ბორჯომი

1:0 ფარულაგა (23)

ლოკომოტივი: მ. ალავეძე, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ფარულაგა, ქუხილაგა, ზ. ჩხეტიანი, ი. სამხარაძე, ცქიტიშვილი, ნულაძე (ს. გილაური 75), დარასელია (ზუდალაშვილი 90), ალექსიძე, სათადარიგო: მიგინიშვილი; გ. კვახაძე, ჩაგელიშვილი, ქუცურუა, კაჭახიძე

ბორჯომი: სეფიაშვილი, კირთაძე (გოგიჩაიშვილი 90), თეფიაშვილი, ქარქუზაშვილი, გურული, გივი ჩხეტიანი, ქავთარაძე, ჩირიკაშვილი, კაკუბაძე, ლომიძე (მეგრელიაძე 55), დერინგი, სათადარიგო: ნასყიდაშვილი

ბაზრთხილვა: ქარქუზაშვილი (18), ფარულაგა (50), კაკუბაძე (77), ზ. ჩხეტიანი (81), გუშარაშვილი (87)

მსაჯეები: ლ. სილაგაძე, ზ. მენტეშაშვილი, ს. სპიციანი, ლ. ფანიბაშვილი

მიხეილ შორაშვილიანი

თბილისის „ლოკომოტივმა“ ის სამი ქულა აიღო, რომელიც ჰაერით სჭირდებოდა — საბედისწერო ადგილს უკვე ოთხი ქულით გაექცა, სადავიდარაბოს კი — ორი.

თამაშის ერთი საათი ისე მიდინა, მასპინძლების გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. ვიტალი დარასელია და რატი ალექსიძე განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ და სულ მეტოქის კართან იყვნენ ჩასაფრებულნი, თუმც ბოლომდე საქმე ვერ მიჰყავდათ.

ლევან ცქიტიშვილი ისე ვეღარ ცქიტიშვილობდა, მაგრამ შიგადაშიგ ისეთებს გამოურევდა, ეტყო-

ბოდა, რომ მართლა დიდი გამოცდილების პატრონია.

კარგად გამოიყურებოდნენ რევაზ წულაძე და აკაკი ქუხილაგაც.

ბორჯომელთაგან გივი ჩხეტიანი და ირაკლი ჩირიკაშვილი გამოირჩეოდნენ და თუ გამწვავებამდე მივიდა საქმე, სწორედ მათი დამსახურება იყო. განსაკუთრებით ჩირიკაშვილზე ვიტყვი, რომელიც სტანდარტულებს სახიფათოდ ასრულებდა, მაგრამ თანაგუნდელები ვეღარ ვარგობდნენ, ერთხელ კი საჯარიმოში ნიკა გუშარაშვილს ისეთი „პოდსებები“ გაუკეთა, „ლოკომოტივის“ გულშემატკივრებსაც კი დააკრევიანა ტაში.

პირველ ტაიმში გოლი და ერთი ასპროცენტისანი საგოლე მომენტი

იყო — 23-ე წუთზე თეიმურაზ ფარულაგამ თავი დარასელიას კუთხურს შეუშვია და როგორც შემდეგ გამოჩნდა, მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა.

„ლოკომოტივს“ ანგარიშის გაორმაგება მე-40 წუთზე შეეძლო, როდესაც წულაძემ ნახევარბურთში უძლიერესად დაარტყა, თუმც კონსტანტინე სეფიაშვილმა იყოჩაღა და ცხრიანში მიმავალი ბურთი კუთხურზე გადაავლო.

57-ე წუთზე ზვიად ჩხეტიანის 35 მეტრიდან გასროლილი ბორჯომელთა მეკარემ ვაი-ვაგლახით მოიგერია. ეს ბურთი რომ გასულიყო, ალბათ თამაში დაშვებდებოდა, თუმც ასე არ მოხდა და „ლოკომოტივმა“ კინაღამ ორი ქულა დაკარგა... შეცვლაზე შესულმა გიორგი მეგრელიაძემ ორჯერ სცადა გატანა — ჯერ შორეულ კუთხეში მოუჭრა მეკარეს, შემდეგ კი მიწაზე დაუშვებლად დაარტყა — მიხეილ ალავეძემ ორივეჯერ შესანიშნავად ითამაშა.

მატჩის დამთავრებამდე ორიოდ წუთით ადრე ალავეძე უძღური იქნებოდა, მეგრელიაძის გადაცემა ლევან თეფიაშვილს ხუთიოდ მეტრიდან თავით ზუსტად რომ დაეარტყა, მაგრამ კურორტელმა ბურთი კარს და „ლოკომოტივი“ სახიფათო ზონას ააცილა...





საქართველოს ჩემპიონატი



საქართველოს ჩემპიონატი სუპერლიგა. XXIX ტურში

პლენი ოფი დღეს დაცავდება

20 აპრილი. რუსთავი
მაპაბი 70:107 თსუ
11:26 17:34 20:20 22:27

მაპაბი: აშვილიანი (9), კორკოტაძე, იოსელიანი (15), კოლაშვილი (2), ს. შერმაძინი (21); ჯანაგველაძე (17), პირველშვილი

თსუ: დ. ბერიშვილი (33), ხეცურიანი (6), ფანჯულიძე (17), კვიციანი, ტყეშელაშვილი (2); არნივიძე (6), ბარბაქაძე (6), კობრიძე (4), ყველაშვილი (6), ხიზანიშვილი (9), ლოსაბერიძე (11), ბ. ნოზაძე (7)

მსაჯეები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: როლანდ გელოვანი
ინერჯი-ინფისტი 93:82 დინამო
ძირითადი დრო 77:77
31:16 14:14 17:23 15:25 16:5

ინერჯი: გამყრელიძე (19), ლევაია (15), გოგობერიშვილი (10), ბაბიაშვილი (4), სტეფანოვი (17); დიდა (15), ციკვაძე (2), ჩიტაშვილი (9), ტუჯანი (2), ჭოჭუა

დინამო: სიგუა, გულისაბეგაშვილი (7), სანიკიძე (31 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), მასურაძე (3), ათანუღიშვილი (24); ნანიტაშვილი, ლაფანაშვილი (5), ახალკაცი (12), ფაქირიძე
მსაჯეები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: მურმან ქურდიე

3ითა 89:84 აპიაშვილი
21:20 23:23 25:16 20:26
3ითა: ძიძიგური (2), ნიგინიძე (2), მ. ბერიშვილი (21), ბუფანიშვილი (23), გვირაძე (14); ნ. ნოზაძე (7), ლ. ნოზაძე (1), მარკოშვილი (19)

აპიაშვილი: ტულუში (14), ბერაია (12), კვიციანი (11), მინაშვილი (18), მათიაშვილი (10); მოსეშვილი (7), იმნაძე (5), ნინიაშვილი (7), სუხიშვილი
მსაჯეები: მაკა კუბაშაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურდიე

მიუხედავად მცირე ინტრიგისა, რეგულარული სეზონის ბოლოსწინა ტურმა საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა. ის ოთხი გუნდი, რომლებიც მაისის დასაწყისში პლენი ოფში ჩაებმებიან, უკვე ცნობილია, საკითხავი და გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა, თუ რომელი რა ადგილს დაიკავებს და ნახევარფინალში ვინ ვის დაეჯახება. ერთი რამ აქედანვე ცნობილია: რუსთავის „ენერჯი-ინვესტი“ პირველზე გავა, ხოლო დანარჩენი სამი გუნდი — „ვიტა“, „ავიამშენი“, თსუ — დღევანდელ ტურში გაინაწილებენ მეორე-მეოთხე ადგილებს.

მართალია, „დინამო“ ოთხეულს მიღმა დარჩენილი, ხოლო რუსთაველებმა, როგორც ვთქვით, პირველობა გაინადდეს, მაგრამ ამ გუნდების გუმინდელმა მატჩმა საინტერესოდ და საკმაოდ დრამატულად ჩაიარა. თბილისელებს, ცხადია, ჩემპიონატიდან კარის გაჯახუნება სურთ და ამიტომაც იყო, ჩემპიონატის ლიდერს მისავე მოედანზე დიდი ბრძოლა რომ გაუმართეს.

აქედანვე გეტყვით, რომ თბილისელებმა ეს მატჩი ოვერტაიმში წააგეს, თუმცა დამატებით დრომდე რომ მიიყვანეს საქმე, მათ შეუპოვრობასა და ძალგულოვნებაზე მიუთითებს. ბოლო 40 წამში 6 ქულის გაბათილებას რომ თავი დავანებოთ, დინამოელებმა იმითაც ქმნეს საგმირო საქმე, რომ პირველი ტაიმის მიწურულს 18 ქულით

ჩამორჩენილებმა თამაშს ინტრიგა დაუბრუნეს და ბოლოს ისე მოხდენილად გაათანაბრეს ანგარიში, ნებისმიერი დონის ჩემპიონატს რომ მოუხდებოდა...

ძირითადი დროის დამთავრებამდე ერთ წუთზე ოდნავ მეტი რჩებოდა, რუსთაველები 76:68 რომ იგებდნენ და ეგონათ, თავი ქულში ჰქონდათ, თუმცა ვიქტორ სანიკიძემ თითქმის შეუძლებელი შეძლო. ბარემ აქვე აღვნიშნოთ, რომ დინამოელი ვიქტორ სანიკიძე ტურის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა და ეს პირველი შემთხვევაა ამ სეზონში, როცა ეს ტიტული წაგებული გუნდის წევრს ერგო.

დასრულებამდე წუთით ადრე სანიკიძის ზუსტმა სროლამ „დინამო“ მეტოქესთან 70:76 მიაახლოვა. არ გასულა 15 წამიც და ვიქტორმა ორქულიანი ჩააგდო, თუმცა მას მოყოლილი საჯარიმო აუცდა და საქმე იმით გამოასწორა, რომ ფარიდან ასხლეტილ ბურთს დაეუფლა. მან იმწამსვე მოუძებმა ბურთს რუსთაველთა კალათში ადგილი და სხვაობა 2 ქულამდე შეამცირა — სირენამდე 24 წამი რჩებოდა.

დინამოელებმა დაცვაში თავი აღარ მოიკლეს და რუსთაველ მიხეილ ჩიტაშვილზე დაჯარიმდნენ, რომელმაც მხოლოდ 1 ქულა მიითვალა და თბილისელებს 3 ქულის გასაბათილებლად 15 წამი დარჩათ.

თითქოს ყველაფერი მაშინ უნდა დამთავრებულიყო, როცა ლექსო ლაფანაშვილმა დასრულებამდე 8 წამით ადრე გამათანაბრებელი სამიანი გააცუდა, თუმცა დინამოელებმა კვლავ ტაქტიკურ ჯარიმას მიმართეს და ჩიტაშვილი ისევ საჯარიმოს ხაზზე გაამწყესეს. ჩააგდე ერთი ბურთი და ყველაფერი დამთავრებულია, თუმცა „ენერჯის“ გამათამაშებელმა ორივე სროლა გააცუდა და ფარიდან ასხლეტილი ბურთი რუსთაველებს პირით ხაზს იქით გაექცათ. „დინამოს“ 6 წამი რჩებოდა და ვიქტორ სანიკიძემ სირენის თანხლებით სუპერსამქულიანი გაისროლა — 77:77.

არა აქვს მნიშვნელობა, დინამოელებმა დამატებით დროში რომ წააგეს, ისინი მორალურად კმაყოფილები დატოვებდნენ რუსთავს, რადგან ისეთი თამაშში შემოუტრიალეს ლიდერს, რომლის ანალოგიც ძალიან იშვიათია.

ამ დრამატულ შეხვედრამდე სატურნირო თვალსაზრისით გარკვეულწილად საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა — „ავიამშენი“ „ვიტას“ შეხვდა. ამ გუნდებს ახლა ის სურვილი ამობრავებთ, როგორმე მეოთხე ადგილზე არ გავიდნენ, რათა საკუთარი მოედნის უპირატესობის მქონე რუსთაველებს ნახევარფინალში ასცდნენ. ის, რომ ქვემოქართვლებთან ფინალამდე შეჯახება არც ერთ მათგანს არ სურს, მათი მატჩიდანაც კარგად გამოჩნდა — „ვიტამაც“ და „ავიამშენმა“ მაქსიმუმი ჩააქსოვეს თამაშში.

ორივე გუნდი ტრავმებით შეხვდა ამ შეხვედრას. თუკი „ავიატორთა“ ბანაკში საშიში არაფერია, ვითე-ლთა ცენტრი დავით ბერძენიშვილი სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა. ის წინა ტურში „დინამოსთან“ მატჩისას შეიქნა ცუდად და როგორც აღმოჩნდა, გულის არტერია ჰქონია დაზიანებული. იმავე საღამოს დავით ოპერაცია გაუკეთეს და დაზიანებული არტერია ხელოვნურით შეუცვალეს. მისთვის სეზონი ხომ დამთავრდა და არავინ იცის, გააგრძელებს თუ არა ბერძენიშვილი სპორტულ კარიერას.

„ავიამშენს“ ტრავმირებული ირაკლი ხოშტარია მინიმუმ მაისის შუა რიცხვებამდე გამოაკლდა, გიორგი ნიკოლაძემ წინა ტურში ნეკი გაიტეხა, ხოლო გუმინ, „ვიტასთან“ მატჩში კოტე ტულუშმა ცხვირი გაიტეხა და ისიც საექიმო შეიქნა.

ერთი სიტყვით, ლევან მოსეშვილის გუნდი უკანა ხაზში შექმნილი პრობლემებით გავიდა მოედანზე და პირველი ტაიმის მიწურულს საერთოდ, ამ ხაზის გარეშე დარჩა. როცა ტულუშმა ვითელ ცენტრ ლუკა ნოზაძესთან შეჯახებისას ცხვირი გაიტეხა, „ავიამშენს“ არც ერთი ნომინალური გამათამაშებელი არ დარჩა განაცხადში. სანამ კოტე ჯანზე იყო, „ავიატორებს“ ნაკლები პრობლემები ჰქონდათ და თამაშში თანაბრად მიუყვებოდა დინებას, თუმცა მოსეშვილი იძულებული გახდა გამათამაშებლობა ბუბა კვიციანისთვის გადაეხარებინა, ხოლო დაბლების ნაკლებობის გამო მოედანზე მუდმივად ჰყავდა სამი 2 მეტრს აცილებული მოთამაშე.

ასეთ დაუბალანსებლობას არ შეიძლებოდა უარყოფითი შედეგი არ გამოეღო და ასეც მოხდა. ვითელებმა სწრაფი შეტევებით გაილაღეს, „ავიამშენის“ მოშიშვლებულ პერიმეტრზეც (ორმეტრიანი კაცი ხომ ვერ გააკონტროლებდა სამქულიან საძვარს) თავისუფლად გრძობდნენ თავს და ბოლო მეოთხედში იმხელა უპირატესობა მოიპოვეს, რომ თამაშის ბოლომდე გაჰყვათ. საბოლოოდ „ვიტამ“ 89:84 იმარჯვა და „ავიატორებს“ დაეწია.

თავის მატჩი მოიგო თსუ-მაც, რომელიც ასევე დაეწია „ავიამშენს“ და ახლა სამ გუნდს ერთნაირი ქულები აქვთ და მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფენ.

დღეს პლეიოფდაბეგებული გუნდები ერთმანეთში გაარკვევენ ურთიერთობას: „ვიტა“ თსუ-ს ეთანამშება, „ავიამშენი“ კი „ენერჯი-ინვესტს“ და სწორედ ამ მატჩებმა უნდა გამოარკვიონ ნახევარფინალური წყვილები.

ირაკლი პირბაია რუსთაველიდან

ინერჯი	29	23	6	52
აპიაშვილი	29	16	13	45
3ითა	29	16	13	45
თსუ	29	16	13	45
დინამო	29	12	17	41
მაპაბი	29	4	25	33

გამონაკვეთი მოხერხებულები

18-19 აპრილს ოზურგეთის სპორტის სასახლეში „ოლიმპიურ გამოწვევას“ უმასპინძლა. „ოლიმპიური გამოწვევა“ ქართველი ოლიმპიური ჩემპიონებისა და პრიზიორებისადმი მიძღვნილი შეჯიბრებაა და სპორტის სხვადასხვა სახეობებში იმართება. ეს ტურნირები პეკინის ოლიმპიადამდე გაგრძელდება. ამჯერად ჩემპიონატი 1995-97 წლებში დაბადებულ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდლებებს შორის ჩატარდა. მასში 21 რეგიონის 230-მამაწვილმა ფალავანმა იჭიდავა.

ტურნირის ოლიმპიური ჩემპიონი ვახტანგ ბლაგიძეც დაესწრო. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა განაცხადა, სამომავლოდ ოზურგეთის სპორტის სასახლე ვახტანგ ბლაგიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირსაც უმასპინძლებსო.

შეჯიბრება კი დამატულად წარიმართა და არც მაყურებელი აკლდა. პირველი დღის შედეგები უეკვე გაგაცანით, 19 აპრილის პრიზიორებს კი აქ გათავაზობთ.

უზრახ მიგრიაული
29 კგ: 1. ლადო ხოზრევანიძე (ხულო); 2. ვიორგი რიქამაძე (ხულო); 3. ვახტანგ ბოლქვაძე (ხულო) და გენადი ჩიტაძე (ხულო)
35 კგ: 1. ბაკურ გოგოლი (სენაკი); 2. ვიორგი ჩუბაშვილი (ნორი); 3. მინდია ბოლქვაძე (ხულო) და ვიორგი ცხადაძე (ქუთაისი)
42 კგ: 1. გელა ბოქვაძე (აჭარა); 2. თორნიკე რუსეიშვილი (ოზურგეთი); 3. შოთა ჩუტლაშვილი (რუსთავი) და ვიორგი კვაშილაძე (ხობი)
53 კგ: 1. ნიკა ვაგაშვილი (თბილისი); 2. ოთარ თოჯაძე (თბილისი); 3. ირაკლი ზირაქიშვილი (რუსთავი) და ლაშა ვიდილაშვილი (ნორი)
66 კგ: 1. ირაკლი დოღონაძე (ქუთაისი); 2. შალვა ვარძელაშვილი (თბილისი); 3. ზვიად პატარაძე (ქუთაისი) და ჯემალ რიქამაძე (თბილისი)
85 კგ: 1. ოთარ ლოლაძე (ქუთაისი); 2. ანდრო ლეინიაშვილი (რუსთავი); 3. ვიორგი მამაგვიშვილი (ქუთაისი) და ნიკა კობახიძე (ოზურგეთი)

თავისუფლება ლისენზიები

პოლონეთამდე გადადეს

ბასულ უქმეებზე შევიცარიის ქალაქ მარტინში თავისუფალი სტილით მოჭიდებულა შორის სალიცენზიო ტურნირი ჩატარდა, სადაც ჩვენებიდან ორნი ბესო გუნაშვილი (55კგ) და მალხაზ ქურდიანი (60კგ) გამოდიოდნენ. შეგახსენებთ, რომ ნაკრებს ამ დრომდე ხუთ წონაში აქვს მოპოვებული საპეკინო ლიცენზიები და შევიცარიაში ოდენ ორი მოჭიდავე ამიტომ გაუშვეს. სამწუხაროდ, ქართველებმა ლიცენზიის აღება ვერ შეძლეს, არადა, საამისოდ მეოთხე ადგილზე გასვლაც კმაროდა.

გუნაშვილმა პირველ წრეში უკრაინელი გეგორჯ მარქარიანი კი წააქცია 1:1, 1:0, მაგრამ მომდევნო დაპირისპირება უკვე თვითონ დათმო გერმანელ მარსელ ევალდისთან 0:2, 3:3, 2:2. ევალდისმა, თავის მხრივ, ნახევარფინალამდე წააგო და ჩვენებურს დამამშვიდებელში ჭიდაობის საშუალება არ მისცა.

ლიცენზიასთან უფრო ახლოს მალხაზ ქურდიანი იყო. მან თავიდან ცუდად კი დაიწყო და აზერბაიჯანელ ჰუსეინოვთან 3:3, 2:4 დაამარცხდა, მაგრამ აზერბაიჯანელმა ფინალს უწია და ქურდიანმაც რეპეშაჟში გაიწია ლიცენზიისკენ. ჯერ ბელარუსი მაჰამედკამილ მაჰამედო დაჩაგრა 5:4, 5:3, მერე კორეელ სანგ-მან პარკის იოლად 5:1, 6:0 აჯობა, თუმცა გადამწყვეტი შეხვედრა ტაჯიკ ვიტალი კორუაქინთან 3:0, 1:4, 0:1 დათმო.

ახლა თავისუფლებს კიდევ ერთი შანსი რჩებათ, რომ პეკინის ოლიმპიადამდე სრული გუნდით გაემგზავრონ. 3-4 მაისს პოლონეთის მთავარ ქალაქ ვარშავაში ბოლო სალიცენზიო ტურნირი ჩატარდება და ჩვენებიც ძალეებს იქ მოსინჯავენ. პოლონეთში პეკინის საგზურს საუკეთესო სამეული მიიღებს.

ლემსო მაისურაძე

NBA პლეი ოფი. პირველი წრე

დანანა მკაბესის მოიპარჯვა

19 აპრილი

აღმოსავლეთი

კლივლენდი 93:86 ვაშინგტონი

კლივლენდი: ჯეიმსი (32), ილგაუსკასი (22 ქულა, 11 მოხსნა), ვესტი (16), გიბსონი (11)

ვაშინგტონი: არენასი (24), ჯემისონი (23 ქულა, 19 მოხსნა), ჰეივუდი (15 ქულა, 10 მოხსნა), ბატლერი (14)

ლებრონ ჯეიმსმა კობი ბრაიანტს გვარიანი უპირატესობით მოუგო ბომბარდირობისთვის დავა და ვინ იცის, MVP-ს გამოკითხვაშიც აჯობოს, მაგრამ წლეულს ის ნამდვილად ვერ გახდება ჩემპიონი, იმდენად ვგულავ ცხენზე ხის. „კლივლენდი“, შარშან რომ ფინალში გავიდა და იქ 0:4 განადგურდა, იმათზე უეთესი კონტრეგენტით თავს ვერც ახლა დაიბეჭდებს, ასე რომ, შემდეგი რაუნდების დაძლევა დიდი წვალების ფასად მოუწევს.

„ვაშინგტონი“ კი მისთვის იოლად შესაჭმელი „ბულკია“, პლეი ოფში ზედიზედ მესამედ ზეღება და აქ მისთვის ზედიზედ სამი სერია და ექვსი თამაში აქვს მოგებული. დედაქალაქელები ყინვად კი იძახდნენ, შარშან 4:0 რომ მოგვიგეს, არც არენასი გვავადა და არც ბატლერი, ახლა კი სრული გუნდით ვართ და ჩვენსა გავიტანთო, მეოთხე მეოთხედის დასაწყისშიც დამაჯერებლად უგებდნენ, მაგრამ სერია მაინც ლებრონიანთა გამარჯვებით გაიხსნა. თავად ლებრონმა მძლავრად ჩაატარა ბოლო წუთები და მისი ლიდერობით „კავალერიამ“ შეტევაშიც და დაცვაშიც აჯობა „ვაშინგტონს“. დროის ამოწურვამდე წუთნახევარი რომ რჩებოდა, 84:84 ანგარიშზე ჯემისონმა დედაქალაქელთა ორ ტანად მეფარეს, ანთაუნ ჯემისონს და ბრენდან ჰეივუდს ჩაუგდო სამწამიანიდან. შემდეგ კი სტუმართა ლიდერ ჯილბერტ არენასის გაცულებული ტყორცით ისარგებლა და 4 ქულამდე გაზარდა სხვაობა. ჩვეულებრივ აგრესიული შეტევა „ვაშინგტონს“ მაინც და მაინც უკანასკნელ წუთს დაუჩლუნგდა — ჯემისონმა სამი ტყორცა ააცილა, კლივლენდელმა დელონტე ვესტმა კი უკანასკნელ 15 წამში 4 საჯარიმო ჩაავლო.

„ვიცილი, რომ ძალისმიერად მომიღებოდნენ, მაგრამ მეც ხომ ეს მინდა — კმაყოფილობდა ჯემისონი ნამატჩევს — ბუნებამ იმიტომ როდი დამაჯილდოვა 206-სანტიმეტრიანი და 115-კილოგრამიანი სხეულით,

რომ შორს დავდე და იქიდან ვისროლო. ფიზიკური ბრძოლა და ფარისკენ გზის გაკაფვა, აი, ესაა ჩემი სტიქია.“

დასავლეთი

სან ანტონიო 117:115 ფინიქსი

20:24 20:24 25:23 28:22 11:11 13:11


სან ანტონიო: დანანა (40 ქულა, 15 მოხსნა, 5 პასი, 3 დაფარება), პარკერი (26), ჯინობილი (24), ფინლი (13)

ფინიქსი: სტუდემიერი (33), ნეში (25 ქულა, 13 პასი), ბელი (14), დიუ (12), ბარბოსა (12), ონილი (11)

„სან ანტონიოს“ ყოველთვის უმართლებს „ფინიქსთან“, მაგრამ, ცხადია, მხოლოდ გამართლებას და ბედის საჩუქარს ვერ დაარქმევს კაცი, ბოლო ოთხი პლეი ოფიდან სან ანტონიომ სამში რომ დაამარცხა და გაავლო „ფინიქსი“. შარშან ერთმანეთს მეორე წრეში რომ შეეტაკნენ, მედიამ მათი ჯახი ნაადრევ ფინალად მონათლა. მაშინაც „სფურზმა“ მოიგო და ეს სერიაც უდაბულეს ბრძოლაში მანვე გახსნა გამარჯვებით.

არადა, თამაში სტუმართა კარნახით მიდიოდა, მიუხედავად იმი-სა, რომ მათმა ბუნებამ მთაკაცმა შაკილ ონილმა მატჩის საწყის ოთხ წუთში ორი პერსონალური მიიღო, შემდეგ, მეორე მეოთხედში მოედანზე შემობრუნებისთანავე მესამედ დაჯარიმდა და მწვრთნელმა მაიკ დანტონიმ ისევ სკამზე დააბრუნა. „ფინიქსი“ მისი ქულა-მოხსნების გარეშე იგებდა და სტივ ნეშისა და ამარე სტუდემიერის დუეტმა მესამე მეოთხედში 16 ქულითაც კი დააწინაურა.

მაგრამ „სან ანტონიო“ არ წყვეტდა ბრძოლას (ამის გამო ოთხეზის ჩემპიონი), მესამეში ჩამორჩენა ექვს ქულამდე შეამცირა და მეოთხეში თანაბარი ბრძოლა გაუმართა მოწინააღმდეგეს. მცირე უპირატესობა თითქოს მაინც სტუმართა მხარეს იყო, მაგრამ მასპინძელმა მაიკლ ფინლიმ დროის ამოწურვამდე 15 წამით ადრე 93:93 გაათანაბრა და ტიტანთა შერკინება დამატებით დროში გაგრძელდა. აქ მცირე სასწაული მოხდა — „სან ანტონიო“ 101:104 აგებდა და ბურთით მასპინძლები იყვნენ, სტუმრებს კი ისინი თითქოს განიარაღებულელები ჰყავდათ, ისე საიმედოდ ამოეკეთათ მათ სნაიპერები, მაგრამ სამქულიანი მოულოდნელად ტიმ დანკანმა გაისროლა, ჩაავლო და ეს საოცარი შეხ-



ვედრა მეორე ოვერტიმში გადაიყვანა. დანკანს ნაბაში მეფარის კვალობაზე საკმაოდ კარგი საშუალო ტყორცა აქვს, მაგრამ შორიდან არ გამოდის, ახლა კი ესეც მოახერხა და სეზონში პირველი სამქულიანი იხსნა გუნდი.

სულ მდევარი არ იყო, მაგრამ მაინც „სან ანტონიო“ მოიგო. მეორე ოვერტიმში კი გამარჯვების ბურთი მანვე ჯინობილიმ ჩაავლო.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ, ცხადია 40 ქულის მომხვეჭი დანკანი შეირაცხა, ვინაც ნამატჩევს კომენტარებში კმაყოფილებაზე მეტად შემოთქება გამოთქვა, პლეი ოფის პირველი თამაში იყო და დამაბულობით ფინალისას ჰყავდა, ძალების ასე ხარჯვა კარგს არაფერს მოგვიტანსო. მაშ, როგორ უნდა, „ფინიქსი“ ის გუნდი არაა, ცალი ხელით რომ შემოგემარცხება.

ნიუ ორლეანი 104:92 დალასი

ნიუ ორლეანი: პოლი (35 ქულა, 10 პასი, 4 ჩაჭრა), ვესტი (23), სტოიაკოვიჩი (14), ჩანდლერი (10 ქულა, 15 მოხსნა)

დალასი: ნოვიციკი (31 ქულა, 10 მოხსნა), პოვარდი (17), კიდი (11 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი)

„დალასისთვის“ ეს რეგულარული ჩემპიონატი იქნებ საუკეთესო არ იყო, მაგრამ ბოლოს ყველაფერი კარგად გამოუვიდა: პლეი ოფშიც გავიდა და იქ პირველ რაუნდში აირიდა ორი ყველაზე არასასურველი მეტოქე, მისი დამატკეპარი კობი ბრაიანტის „ლუიკერსი“ და ჩემპიონი „სან ანტონიო“. არც „ნიუ ორლეანი“ იყო, ამერიკულად რომ ვთქვათ, საშობაო ნამცხვარით შესატკბობი, მაგრამ იმ ორთან ჯახირს ისევ ამასთან ჯობდა. თანაც რეგულარულის ერთ-ერთ უკანასკნელ მატჩში ტენესელებს ლუიზიანელები დაემარცხებინათ და პლეი ოფშიც იმის იმედად შეაბიჯეს, რომ გამოუცდელ და ახალგაზრდა დებიუტანტებთან ზედიზედ რვა პლეი ოფში დაგროვილ გამოცდილებას გამოიყენებდნენ.

ყველაფერი ასე კობტადაც მიდიოდა, „დალასმა“ პირველი ტაიმი 52:40 მოიგო და ასე ჩანდა, მოედნის უპირატესობასაც აართმევდა „ნიუ ორლეანს“, მაგრამ მესამე 12-წუთეულში ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა, მასპინძელთა ლი-

დერი, მანამდე უჩვეულოდ ინერტულად მოთამაშე კრის პოლი აფეთქდა და აივერი ჯონსონის გუნდზე ააფეთქა. მესამეში მან პირადად გააკეთა 15 ქულა, 12-ქულიანი ჩამორჩენა 4-ქულიანი უპირატესობად აქცია და მეოთხეში მოუთავა ხელი ღირკ ნოვიციკის და კომპანიას. გამარჯვებულთა მწვრთნელმა ბაირონ სკოტმა მასზე თქვა — „ვიცილი, რომ გუნდს არ დააღალატებდა, მაგრამ ჯვისონ კიდის წინააღმდეგ თამაშში ასე თუ იფრენდა, ამაზე ვერც ვიოცნებებდი, ეს მისი დებიუტი იყო პლეი ოფში და მრავლისმნახველი ვეტერანივით კი ითამაშა.“

პიუსტონი 82:93 იუტა

პიუსტონი: ბეტგი (22), მაკგრედი (20), სკოლა (14 ქულა, 13 მოხსნა)

იუტა: კორილენო (21), ბუზერი (20 ქულა, 16 მოხსნა), უილიამსი (20 ქულა, 10 პასი), კორვერი (11)

ისინი შარშანაც შეხვდნენ ერთმანეთს და „პიუსტონმა“ მაშინაც ვერ აიხსნა პირველი რაუნდის ჯადო, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ლიდერი ჯანზე ჰყავდა და თანაც სერია 2:0 მიყავდა. ახლა მით უმეტეს არავის გაჰკვირვებია, შინ რომ დათმო, რადგან კარგა ხნის წინ დამტვრეულ იაო მინთან ერთად ძირითადი გამოთამაშებელი რაფერ ალსტონიც გამოაკლდა. იუტელთაგან ერთბაშად სამმა შეძლო ორი ათეული ქულის გაკეთება და სტუმარ გუნდს ეჭვქვეშ არ დაუყენებია თავისი გამარჯვება.

მოკლედ, პლეი ოფში იოლად კი გავიდა, მაგრამ აქ არცთუ დიდი შანსი აქვს „პიუსტონს“, რომელმაც უკანასკნელი სერია 1997 წელს მოიგო და სხვათა შორის, მაშინაც „იუტამ“ გამოავლო მიუხედავად იმისა, რომ სამი ლეგენდარული მოთამაშე ჰყავდა — ჰაკიმ ოლაჯუონი, ჩარლზ ბარკლი და კლაიდ დრექსლერი. თუ უნდა, რომ ეს ნავსი გატეხოს, სოლტ ლეიკ სიტიში „იუტას“ სულ ცოტა ერთი მოგება მაინც უნდა წავლიჯოს. არადა, ეს უკანასკნელი ყველაზე „სახლის“ გუნდად ითვლება მისისიპის იქითაც და აქეთაც — რეგულარულში შინ 41 თამაშიდან 37 მოუგია.

ივანე კობიაშვილი

უფრთხილად

თბილისში კალანდაძე სამომავლოდ დაბრუნდა

თბილისი 32:28 სტუ
ქუთაისი 27:18 ბაგული


